



#3 (35), მარტი, 2010

იურიდიული დახმარების კლინიკა

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტში შეიქმნა იურიდიული დახმარების კლინიკა, რომლის მიზანია სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის იურიდიული მომსახურება.

კლინიკაში იურიდიული მომსახურება უფასოა და მოიცავს:

- იურიდიულ კონსულტაციას;
- სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებას;
- განსაკუთრებულ შემთხვევებში წარმომადგენლობას ადმინისტრაციულ ორგანოებში და სასამართლოში.

კლინიკის საქმიანობის ფორმები

- სატელეფონო კონსულტაცია;
- პირადი კონსულტაცია;
- გასვლითი იურიდიული კონსულტაცია (რევიზიებში);
- [ონლაინ კონსულტაცია.](#)

თბილისი 0171

26 მაისის მოედანი 2, V სართული

ტელ: (995 32) 94 16 05

ფაქსი: (995 32) 33 04 17

ელ-ფოსტა: legalclinic@civilin.org

ვებ-გვერდი: www.civilin.org/welfare

ყველათვიურ ელექტრონულ
გამოცემას ამზადებს
სამოქალაქო საზოგადოების
ინსტიტუტი

ვებ-გვერდი: www.civilin.org

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის საარსებო გარემოს გაუმჯობესებაზე მუშაობს

პროექტის ფარგლებში ინსტიტუტი აშუქებს
ამ სფეროში მომუშავე საზოგადოებრივი ორგანიზაციების
საქმიანობებს, ღონისძიებებს



კოალიციის – დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის – ფოტო არქივი

კოალიციის „დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“ ახალი პროექტი

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 22 ახალგაზრდა ყოველ სამუშაო დღეს სამუშაოზე მიდის, მათი უმეტესობა ეტლით სარგებლობს... თვითონ ჯერჯერობით სტანდარტული, თითქმის ერთი ზომის ეტლებით სარგებლობენ, თუმცა უკვე მზად არიან სხვებს უფრო გაუადვილონ საქმე – აითვისეს კონსტრუქცია და საცდელი ყველგანმავალი ეტლი უკვე დაამზადეს.

(გაგრძელება იხ. მე-2 გვ.)

კოალიციის „დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“ ახალი პროექტი



•



•



•



•



(გაგრძელება)

ყველგანმავალი ეტლის კონსტრუქცია ეტლით მოსარგებლე რაღვ ჰოჩკისს ეკუთვნის. იგი ერთი თვის მანძილზე საქართველოში იმყოფებოდა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქართველ სპეციალისტებთან ერთად ეტლიც ააწყო. რაღვ ჰოჩკისმა „მოსწავლეების“ დამზადებული ეტლი მოიწონა, მოირგო, თავისი ეტლი აქ დატოვა, ხოლო ახალი ეტლით სამშობლოში გაემგზავრა.

ყველგანმავალი ეტლი – საუკეთესო საშუალებაა ხრიოკ, უსწორმასწორო გზებზე სიარულისას. არის მოქნილი მოძრაობაში, აქვს საუკეთესო ბალანსი და ბორბლების ბრუნვა, რის გამოც ადვილად სამართავია. ამ ეტლით მოსარგებლე ადამიანი დაზღვეულია ამოყირავებისგან, წაქცევისგან, რაც გადაადგილებისას გარკვეულ თავისუფლებას სძენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანს.

მას უკვე შეარქვეს „ყველგანმავალი“, რადგან ბორდიურების გადალახვა, თუ მოხრეშილ გზებზე სიარული სხვისი დახმარების გარეშე, დამოუკიდებლად არის შესაძლებელი. ასე აღწერეს ეტლის უპირატესი მხარეები კოალიციაში დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის. სწორედ კოალიციის პროექტის – საქართველოს ეტლების წარმოების ქსელის ფარგლებში დაიწყო ყველგანმავალი ეტლების წარმოება, რომელსაც კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის პარტნიორ ორგანიზაციებთან – ინვალიდობის მსოფლიო ინსტიტუტთან (WID) და WhirlWind Wheelchair-თან ერთად აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით

ახორციელებს. ეტლები მომხმარებლის ინდივიდუალური მონაცემების – სიმაღლის, წონის მიხედვით დამზადდება, რაც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. აქამდე ეტლით მოსარგებლეები ერთი სტანდარტის ეტლებით სარგებლობდნენ, რაც დაახლოებით იგივეა, რომ ერთი ზომის ფეხსაცმელი ჩააცვა ყველას, ამბობს კოალიციის პიარ მენეჯერი რატი იონათამიშვილი. ეტლების აწყობაზე მომუშავე და მოსარგებლე პირებმა გაიარეს ეტლებით უზრუნველყოფის საბაზისო კურსი, რომელსაც ამერიკელი სპეციალისტები უძღვებოდნენ, რომლებმაც მიაწოდეს ინფორმაცია ეტლის მორგებისა და შემდგომი ეტაპების შესახებ.

კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის არის საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ჩართულობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში და თანაბარი პირობების შექმნას

ვებ-გვერდი:
<http://www.disability.ge/>



ტრენინგი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების შიდა რეგულაციების საკითხებზე



სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტმა, 26 მარტს ჩაატარა ტრენინგი არასამეწარმეო იურიდიული პირების შიდა რეგულაციებისა და სანიმუშო დოკუმენტების საკითხებზე. ტრენინგს ესწრებოდნენ სოციალურ საკითხებზე მომუშავე საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. ტრენინგი მოიცავდა ისეთ საკითხებს, რომელთა გამოყენება ხშირად უწყვეტ არასამეწარმეო (არაკომერციული) ორგანიზაციებს, კერძოდ, შრომის შინაგანაწესი, ხელშეკრულებები (ნასყიდობის, ქირავნობის, მომოსახურების, შრომითი), ასევე გაეცნენ შესყიდვების დებულებას. აღნიშნული საკითხების გაცნობა ხელს შეუწყობს და დაეხმარება საზოგადოებრივ ორგანიზაციებს საქმიანობის ხარისხიანად და ეფექტურად განხორციელების უზრუნველყოფაში.

მოკლედ

- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 26 თებერვლის ბრძანება #501ნ დამტკიცდა „შვილად აყვანის პროცედურები და ფორმები“. ვრცლად იხილეთ ვებ-გვერდზე: <http://www.civilin.org/welfare>
- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 26 თებერვლის ბრძანება #51ნ დამტკიცდა „მინდობით აღზრდის პროცედურები და ფორმები“. ვრცლად იხილეთ ვებ-გვერდზე: <http://www.civilin.org/welfare>
- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 26 თებერვლის ბრძანება #521ნ დამტკიცდა „სპეციალიზებულ დაწესებულებაში პირის მოთავსებისა და ამ დაწესებულებიდან მისი გაყვანის წესი და პირობები“. ვრცლად იხილეთ ვებ-გვერდზე: <http://www.civilin.org/welfare>
- 2010 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული საქართველოს სამოქალაქო კოდექსში შესული ცვლილებები არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირების რეგისტრაციის წესისა და პროცედურების შესახებ. ვრცლად იხილეთ ვებ-გვერდზე: <http://www.civilin.org/welfare>
- საქართველოს პარლამენტში წარდგენილია „საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი. რომელიც ეხება არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირის რეგისტრაციის წესსა და პირობებს.

- თქვენ ყოველთვიურად ეცნობით სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მიერ, სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების გარემოს გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში, მომზადებულ ელექტრონულ საინფორმაციო ბიულეტენს. ბიულეტენი თქვენთვის იქმნება და თქვენს სამსახურშია, მოგვწერეთ თქვენი წინადადებები. ელ-ფოსტა: welfare@civilin.org ბიულეტენის ერთ-ერთი მთავარი თემა თქვენი საქმიანობა და ღონისძიებებია. მოგვწერეთ, მოგვაწოდეთ ინფორმაცია ღონისძიებების შესახებ, ჩვენ კი გთავაზობთ: ღონისძიების ანონსის გავრცელებას ელექტრონული ფოსტით, ღონისძიების გაშუქებას საინფორმაციო ელექტრონული ბიულეტენის საშუალებით. მოგვაწოდეთ ინფორმაცია თქვენი გამოცემების შესახებ და ჩვენ განვათავსებთ მათ პროექტის ვებ-გვერდზე: <http://www.civilin.org/welfare> მოგვაწოდეთ ინფორმაცია იმ პროდუქციის შესახებ, რომელსაც აწარმოებთ სოციალურ სფეროზე ორიენტირებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან არსებულ სახელოსნოებში, მათ განვათავსებთ პროექტის ვებ-გვერდზე: <http://www.civilin.org/welfare> ნუ გაუშვებთ შესაძლებლობას გაეცნოთ და გაგიცნონ

ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო

აცხადებს ტენდერს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, ხანდაზმულთა და ოჯახურ მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სოციალური რეაბილიტაციის 2010 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ფსიქიკური დარღვევების მქონე პირთა ინსტიტუციური პატრონაჟის ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს. **შესყიდვის ობიექტია:** ფსიქიკური დარღვევების მქონე პირთა სადღეღამისო სპეციალიზებული დაწესებულებების მომსახურებით უზრუნველყოფა. ინფორმაცია იხილეთ გაზეთი „24 საათი“, 24 მარტი. 2010 წელი <http://www.24saati.ge> ან <http://www.civilin.org/welfare>

ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო

აცხადებს ტენდერს დაავადებათა პრევენციის 2010 წლის სახელმწიფო პროგრამის, დაავადებათა ადრეული გამოვლენისა და სკრინინგის ხელშეწყობის კომპონენტის 0-3 წლამდე ასაკის ბავშვთა გლობალური განვითარების ხელშეწყობის ქვეკომპონენტის მიხედვით სამედიცინო მომსახურების შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს. **შესყიდვის ობიექტია:** ქ.თბილისში მცხოვრებ 0-3 წლამდე ასაკის ბავშვთა გლობალური განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები. ინფორმაცია იხილეთ გაზეთი „24 საათი“, 10 მარტი. 2010 წელი <http://www.24saati.ge> ან <http://www.civilin.org/welfare>

ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო

აცხადებს ტენდერს ბავშვზე ზრუნვის 2010 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს. **შესყიდვის ობიექტია:** 18 წლამდე ასაკის მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფა. ინფორმაცია იხილეთ გაზეთი „24 საათი“, 10 მარტი. 2010 წელი <http://www.24saati.ge> ან <http://www.civilin.org/welfare>

კონკურსი

ადამიანის უფლებათა საგანმანათლებლო ცენტრი აცხადებს კონკურსს ევროპის ახალგაზრდული ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის "ადამიანის უფლებათა განათლება ყველასთვის" ფარგლებში ბაკურიანში, 2010 წლის 23-27 აპრილს დაგეგმილი ტრენინგის მონაწილეების შერჩევაზე. ტრენინგი დაფუძნებულია ევროპის საბჭოს სახელმძღვანელოზე – „კომპასი“.

ტრენინგში მონაწილეობა შეუძლია 21-30 წლის ასაკის ნებისმიერ ფიზიკურ პირს, რომელიც მუშაობს ან სურვილი აქვს იმუშაოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებთან.

დეტალური ინფორმაციისთვის მიმართეთ:

ადამიანის უფლებათა საგანმანათლებლო ცენტრს
ელ-მისამართზე: hrecgeo@yahoo.com
ვებ-გვერდი: www.humaneducation.info